იბნ ხალდუნი და მისი „მუკადდიმა“

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

რესურსის მიზანი - დასმული კითხვების მიხედვით, მოსწავლეები აანალიზებენ სტატიას (მეორად წყაროს).

სავარჯიშო წარმოადგენს მეორადი წყაროს ანალიზს. წარმოდგენილია სტატია ცნობილი არაბი მოაზროვნის იბნ ხალდუნის ნაშრომის - „მუკადდიმას“ (ქართ. „შესავალი“) შესახებ.

აბუ ზაიდ აბდურრაჰმან იბნ მუჰამმად იბნ ხალდუნ ალ-ჰადრამი (1332-1406) ისლამური აზროვნებისა და ტრადიციის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ის დაიბადა თუნისში. გარდა „მუკადდიმასი“, იბნ ხალდუნმა მრავალი ნაშრომი დაგვიტოვა რელიგიის, ისტორიის, კულტურის, სოციოლოგიის, ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობისა და პოლიტიკური მართვის საკითხების შესახებ.

ამ სავარჯიშოს ფუნქციაა, მოსწავლეებს გამოუმუშავოთ კრიტიკული აზროვნებისა და წყაროს ანალიზის უნარი. წყაროს თან ახლავს სავარაუდო პასუხებიც, რომლებიც მხოლოდ მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი. მოსწავლეთათვის განკუთვნილ სავარჯიშოში პასუხები არ არის.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია XI კლასის მოსწავლეებისთვის.

ნაწყვეტი სტატიიდან - *XIV – XV* საუკუნეების არაბი მოაზროვნის იბნ ხალდუნის

ნაშრომის - „მუკადდიმას“ (ქართ. შესავალი) შესახებ.

აბუ ზაიდ აბდურრაჰმან იბნ მუჰამმად იბნ ხალდუნ ალ-ჰადრამი (1332-1406) ისლამური აზროვნებისა და ტრადიციის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ის დაიბადა თუნისში. გარდა „მუკადდიმასი“, იბნ ხალდუნმა მრავალი ნაშრომი დაგვიტოვა რელიგიის, ისტორიის, კულტურის, სოციოლოგიის, ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობისა და პოლიტიკური მართვის საკითხების შესახებ.

დავალება:

გაეცანით წყაროს. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

მუკადდიმაში გაანალიზებულია სოციუმში ინდივიდების თანაცხოვრების საკითხი. ავტორი მიიჩნევს, რომ ადამიანს ცალკე ცხოვრება არ შეუძლია. ის ბუნებასთან და ცხოველთა სამყაროსთან ბრძოლაში აუცილებლად დამარცხდება. კაცთა მოდგმის გადარჩენის ერთადერთი გზა მისი საზოგადოებრივი მოწყობაა. ერთ-ერთი ცნება, რომელსაც იბნ ხალდუნი ამ იდეას უკავშირებს, არის “ურთიერთდამოკიდებულება”. ამ ტერმინში ის გულისხმობს შემდეგს: ადამიანებს, რომლებიც ერთიან სოციალურ გარემოში ცხოვრობენ, გააჩნიათ ბუნებრივი სურვილი ურთიერთობისა. ამ “სურვილის” გარეშე ნებისმიერი საზოგადოება განწირულია დასაღუპად. თანამედროვე სოციოლოგიაში იბნ ხალდუნის “ურთიერთდამოკიდებულება” შეიძლება გავაიგივოთ სოციალურ სოლიდარობასთან.

საზოგადოების რაობაზე მსჯელობისას, იბნ ხალდუნი ანსხვავებს ორი ტიპის სოციუმს: ერთი მათგანი წარმოადგენს ღია სივრცის სოციუმს, ხოლო მეორე – დახურულს.

ღია სივრცეში ცხოვრობენ ნაკლებად ცივილიზებული ხალხები, რომლებიც ძირითადად მინათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. ამ ხალხების მუშაობა აუცილებლობით არის განპირობებული, რადგანაც მათი საქმიანობის მიზანს სარჩოს მოპოვება წარმოადგენს. საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის მათ აუცილებლად სჭირდებათ ღია სივრცე. ამგვარი საზოგადოებები აწარმოებენ იმდენ პროდუქტს, რამდენიც აუცილებელია ელემენტარული ცხოვრებისეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

იბნ ხალდუნის აზრით, ზედმეტი პროდუქტის დაგროვების შემთხვევაში, საზოგადოებას მეტი მოთხოვნილებები უჩნდება. ეს კი თავისთავად ბადებს მრავალი იმგვარი დარგის განვითარებას - მაგ.: არქიტექტურის, ხელოვნების, მოდური ტანსაცმლის, ფუფუნების საგნების და სხვა - რომლებიც ღია სივრცის საზოგადოებებისთვის აბსოლუტურად უცხოა. ზემოთ ჩამოთვლილი დარგების განვითარება ძირითადად ქალაქშია (არაბ. მადინა) შესაძლებელი. ამიტომ, ავტორი ცივილიზაციის მაღალ საფეხურს ქალაქურ სოციუმს უკავშირებს. სწორედ ქალაქური ტიპის საზოგადოებებს უწოდებს იბნ ხალდუნი დახურული სივრცის საზოგადოებებს. ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საზოგადოების პროგრესი ღიადან დახურული სივრცისკენაა მიმართული და, რომ ავტორი საზოგადოების განვითარებას ურბანიზმისკენ სწრაფვას უკავშირებს.

საზოგადოების ტიპების განსაზღვრის შემდეგ, იბნ ხალდუნი ავითარებს იდეას იმის შესახებ, რომ პრიმიტიული საზოგადოებები ბევრად შეკრულნი და კონსოლიდირებულნი არიან, ვიდრე განვითარებული

საზოგადოებები. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არაცივილიზებულ სოციუმებში ძირითადად გვაროვნული ურთიერთოებები დომინირებს, რომლებიც სისხლით ნათესაობასა და მკაცრ იერარქიულ პრიციპებზეა დაფუძნებული. ამგვარი ურთიერთობები ხელს უშლის გვარის ცალკეულ წევრებს საკუთარი ეგოისტური ამბიციების დაკმაყოფილებაში.

რაც შეეხება ცივილიზებულ სამყაროს, განსხვავებით ღია სივრცის სოციუმებისგან, აქ ადამიანებს ნაკლები პასუხისმგებლობა გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ. ურბანისტული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელია მეტი თავისუფლება და ინდივიდუალიზმი. ამგვარ საზოგადოებებში ადამიანთა თანდაყოლილი აგრესიულობა და ბრძოლა პირველობისთვის თავის კულმინაციას აღწევს. სოციუმის უსაფრთხობისთვის აუცილებელი ხდება ისეთი ძალის არსებობა, რომელიც ხელს შეუშლის დესტრუქციასა და ანარქიას. ავტორის აზრით, ამგვარ ძალას ხელისუფლება წარმოადგენს.

მუკადდიმაში დიდი ადგილი ეთმობა სახელმწიფოსა და ცივილიზაციის არსის განსაზღვრას. განსაკუთრებით საყურადღებოა იბნ ხალდუნის თეორია სახელმწიფოს შესახებ. ის ამბობს: ისევე როგორც ადამიანს, სახელმწიფოსაც გააჩნია განვითარების გარკვეული ფაზები:

“..... და ეს ფაზები რიცხვით არ აჭარბებს ხუთს:

პირველი – ფაზა გამარჯვებისა და მიზნის მიღწევისა. წინააღმდეგობა დაძლეულია, ქვეყანა დაპყრობილია. ..... ამ ეტაპზე ადამიანები თანაბრად მოიპოვებენ სახელს და სიმდიდრეს. ….. არავინ ერთპიროვნულად არაფერს ფლობს. ასეთია შედეგი კაცთა შედუღაბებისა, რომლის მეშვეობითაც მოიპოვეს უპირატესობა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე.

მეორე – ფაზა ქვეყნის მცხოვრებთა დამორჩილებისა და სამფლობელოს ერთპიროვნულად ხელში ჩაგდებისა. ამ ეტაპზე ხელმწიფე ქირაობს ქვეშევრდომებს, იღებს მათ მფარველობაში, რათა ფრთები შეუკვეცოს თავისი გვარის წარმომადგენლებს და უწინდელ შედუღაბებულ ერთობას, რომელთაც ბატონობისთვის მსგავსი პრეტენზიები გააჩნიათ. ..... ეს ბრძოლა მისთვის ძალიან რთულია, რადგანაც უცხო ადამიანების მეშვეობით უსწორდება თავის ახლობლებს.

მესამე – ფაზა დასვენებისა და სიმშვიდისა, როდესაც იმკიან ძალაუფლების ნაყოფს, რათა დაიკმაყოფილონ სიმდიდრისა და სახელის მოხვეჭის ადამიანური მოთხოვნილებები. ის (მმართველი) მთელ თავის ძალისხმევას ახმარს გადასახადების აკრეფას. ცდილობს დააბალანსოს შემოსავალი და გასავალი, ააშენოს ბრწყინვალე შენობები, გაიყვანოს არხები ..... მიიღოს სხვა ქვეყენების ელჩობები, დროულად უხდიდეს გასამრჯელოს ჯარს, თესდეს სიკეთეს თავისი ხალხისთვის. .....

მეოთხე ფაზა – მმართველი ნაკლებად მომთხოვნია. ის კმაყოფილდება იმით, რაც მისმა წინამორბედებმა შექმნეს. ქვეყნის გამგებელი არ ართულებს ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან და თავის მოსისხლე მტრებთან. ბაძავს რა თავის წინამორბედებს, მას მიაჩნია, რომ ერთადერთ სწორ გზაზე დგას.

მეხუთე – ფაზა ხარჯვისა და ქონების განიავებისა. წინამორბედების მიერ დაგროვილ სიმდიდრეს ხელმწიფე ფანტავს გაუთავებელ გართობებსა და დროსტარებაში. მისი მიზანია დაახლოებული ადამიანების გულის მოგება და მათი დასაჩუქრება. ასეთი ადამიანები, უმეტესს შემთხვევაში, არაფრის მაქნისნი არიან. სწორედ მათ ანდობს მმართველი სერიოზული სახელმწიფო საქმეების მოგვარებას, რაც მათ არ ძალუძთ. ხოლო ის ადამიანები, რომლებიც გამოცდილნი არიან ქვეყნის საქმეების წარმართვაში

ნელ-ნელა შორდებიან სამეფო კარს. ასეთ მდგომარეობაში ქვეყანა სუსტდება. ის განუკურნებელი სენით ავადდება, რომლისგან გამოჯანმრთელება შეუძლებელი ხდება. სახელმწიფო ნადგურდება".

თუ კარგად დავუკვირდებით იბნ ხალუნის მიერ შემუშავებულ ფაზებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მმართველი ელიტის სტრუქტურული ანალიზისა. მუკადდიმას იდეები დღემდე აქტუალური და ყურადსაღებია.

სტატიაში გვინდა შევეხოთ იბნ ხალდუნის იმ თეორიასაც, რომელიც თანამედროვე ისტორიაში გეოგრაფიული დეტერმინიზმის სახელითაა ცნობილი. მუკადდიმაში ავტორი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ კლიმატს და გეოგრაფიულ გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისთვის. მაგალითად მოგვყავს მისი შემდეგი მოსაზრება:

ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით, უდაბნოს მცხოვრებთ უპირატესობა აქვთ მთიანი პლატოს მცხოვრებთა მიმართ, რომლებიც სრულ სიმშვიდეში ცხოვრობენ. ბედუინები უფრო სიცოცხლის მოყვარულნი არიან, ვიდრე ქალაქელები. ისინი გამოირჩევიან კარგი აღნაგობით, ჯანმრთელი ცხოვრების წესით და ადვილად ეუფლებიან ცოდნას. ამგვარი მოსაზრებები უხვად მოიპოვება მუკადდიმაში.

იბნ ხალდუნის აზრით, დედამიწაზე არსებობს კლიმატის სამი ზონა: ცივი, რომელიც ჩრდილოეთითაა, ცხელი, რომელიც ეკვატორის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავს და ზომიერი, რომელიც ცივსა და ცხელ კლიმატურ სარტყლებს შორისაა მოთავსებული. ავტორი გვეუბნება:

ცხელ კლიმატში ადამიანებს ნაკლები საზრუნავი აქვთ საკვების მოპოვების თვალსაზრისით, რადგანაც ეს რეგიონი მდიდარია მცენარეული საფარითა და მიწის ნაყოფიერებით. ამიტომ მათ არ უწევთ ფიქრი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის და სჯერდებიან იმას, რაც აქვთ. ამავე დროს, ცხელი კლიმატი ადამიანის აზროვნებაზე ცუდად მოქმედებს.

რაც შეეხება ჩრდილოეთს, აქ იმდენად მძიმე პირობებია საცხოვრებლად, რომ ადამიანის ერთადერთი საზრუნავი საკვების მოპოვება და თვითგადარჩენაა. ამიტომ ამ სარტყლის მკვიდრთ დრო არ რჩებათ ინტელექტუალური მუშაობისთვის.

იბნ ხალდუნის აზრით, საუკეთესო პირობები საზოგადოების განვითარებისთვის ზომიერი სარტყელია, რადგანაც ტემპერატურა ზომიერია, მიწა ნაყოფიერი, თუმცა მოითხოვს შრომას, რაც ხელს უწყობს ინტელექტის განვითარებას. ამ სარტყელში ადამიანები ყველაზე მეტად ეწაფებიან გონებრივ შრომას.

ბევრისთვის ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი თეორია არ არის ორიგინალური. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები ავითარებდნენ მსგავს მოსაზრებებს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოირჩევა არისტოტელე. ის, რომ იბნ ხალდუნი არისტოტელეს არაბული თარგმანებით სარგებლობდა, თვით მის ავტობიოგრაფიაში წერია.

ისტორიული ტრადიციის მიხედვით, მუკადდიმას ავტორი 1406 წელს კაიროში გარდაიცვალა. მისი ხუთსაუკუნოვანი დავიწყების მიზეზი შეიძლება ვეძიოთ იმ სიტუაციაში, რომელშიც XV საუკუნისთვის ახლო აღმოსავლეთი აღმოჩნდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც მუსლიმური კულტურა დაღმასვლას განიცდიდა; როდესაც წარსულის უდიდესი კულტურის ცენტრებს ცენტრალური აზიიდან გამოსროლილი მომთაბარე ხალხები დაეპატრონნენ. ახალმოსულთა "გაკულტურების" პროცესი მცირე ხანში შეუძლებელი აღმოჩნა. აღმოსავლეთის ინტელექტუალური მემკვიდრეობა დროებით მივიწყებას მიეცა.

კითხვები:

1. რას მიიჩნევს იბნ ხალდუნი კაცთა მოდგმის გადარჩენის ერთადერთ გზად?

ა) ინდივიდუალურ ცხოვრებას;

ბ) სოციალურ ცხოვრებას;

გ) ბუნებასთან ჰარმონიულ ცხოვრებას;

დ) რელიგიური გზით ცხოვრებას.

2. ტექსტის მიხედვით, რა პირობა უნდა შესრულდეს იმისთვის, რომ წარმოიშვას დახურული საზოგადოება?

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* ზედმეტი პროდუქტის დაგროვება წარმოშობს დახურულ საზოგადოებას.

3. რატომ თვლის ავტორი ქალაქურ სოციუმს უფრო მაღალი საფეხურის სოციუმად, ვიდრე სასოფლოს?

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* ქალაქურ საზოგადოებას მეტი მოთხოვნილებები აქვს, რაც მრავალი ისეთი დარგის განვითარებით აისახება, რომლებიც ღია საზოგადოებებისთვის უცხოა.

4. რატომ უწოდებს იბნ ხალდუნი სასოფლო საზოგადოებას ღია სივრცის სოციუმს, ხოლო ქალაქურ საზოგადოებას - დახურულ სოციუმს?

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* სოფლის მეურნეობის წარმართვისთვის საჭიროა სივრცე, განსაკუთრებით მესაქონლე არაბი ბედუინებისთვის; ხოლო თითქმის ყველა ქალაქი შუა საუკუნეებში კედლებით იყო შემოსაზღვრული.

5. რომელი საზოგადოებაა, იბნ ხალდუნის აზრით, უფრო კონსოლიდირებული და რატომ?

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* არაცივილიზებულ სოციუმებში ძირითადი გვაროვნული ურთიერთოები დომინირიებს, რომლებიც სისხლით ნათესაობასა და მკაცრ იერარქიულ პრიციპებზეა დაფუძნებული. ასეთი ურთიერთობები ხელს უშლის გვარის ცალკეულ წევრებს საკუთარი ეგოისტური ამბიციების დაკმაყოფილებაში და ამიტომ ამგვარი საზოგადოებები უფრო კონსოლიდირებულნი არიან.

6. ტექსტის მიხედვით, რა როლი აკისრია ხელისუფლებას?

ა) ქვეყნის კულტურის განვითარება;

ბ) ქვეყნის ეკონომიკის განვითარება;

გ) ქვეყნის საგარეო უსაფრთხოების დაცვა;

დ) ქვეყნის შიდა სტაბილურობის შენარჩუნება.

7. ტექსტის მიხედვით, შეუსაბამეთ ერთმანეთს სახელმწიფოს განვითარების ფაზები და მათი განსაზღვრებები. „პასუხებში“ ჩაწერეთ ფაზებისა და მათი განსაზღვრებების შესაბამისი ნომრები (5 ქულა)

პირველი ფაზა	1) სახელმწიფო მმართველობის სტაგნაცია
მეორე ფაზა	2) აბსოლუტური ძალაუფლებით ტკბობა
მესამე ფაზა	3) ძალაუფლებისთვის ბრძოლა ელიტის შიგნით
მეოთხე ფაზა	4) სახელმწიფოს განადგურება
მეხუთე ფაზა	5) ქვეყნის დაპყრობა და ქვეყნის სათავეში ახალი ელიტის მოსვლა

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* პირველი ფაზა - 5); მეორე ფაზა - 3); მესამე ფაზა - 2); მეოთხე ფაზა - 1); მეხუთე ფაზა - 4);

8. რატომ ითვლება იბნ ხალდუნი გეოგრაფიული დეტერმინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად?

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* **ი**ბნ ხალდუნი ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ კლიმატს და გეოგრაფიულ გარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების განვითარებისთვის.

9. ტექსტის მიხედვით, რატომაა ზომიერი კლიმატი საზოგადოების განვითარების საუკეთესო პირობა?

ა) იმიტომ, რომ ადამიანებს არ უხდებათ ბევრი შრომა

ბ) იმიტომ, რომ ადამიანებს უწევთ ბევრი შრომა

გ) იმიტომ, რომ ადამიანებს რჩებათ დრო ინტელექტუალური მუშაობისთვის.

10. ტექსტის მიხედვით, რატომ მიეცა დავიწყებას იბნ ხალდუნის ნაშრომები ხუთი საუკუნის განმავლობაში? (1 ქულა)

პასუხი მასწავლებლებისთვის*:* ისლამური კულტურა მოიცვა კრიზისმა, რაც მომთაბარე ტომების გაუთავებელი შემოსევებით იყო განპირობებული.